

სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი - სექტემბერი

2021 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 22.3% და 10 009.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- **ექსპორტი** გაიზარდა 24% და 2 981.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგინა
- **იმპორტი** გაიზარდა 21.6% და 7 028.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა
- საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსი 2021 წლის იანვარ-სექტემბერში 20% გაიზარდა და 4 047.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.4 პროცენტია.
- **ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე** (ადგილობრივი ექსპორტი), მთლიანი ექსპორტის 72.7 პროცენტს შეადგინა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.9%-ით გაიზარდა და 2 166.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. **რე-ექსპორტი** 19% გაიზარდა და 815.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის 9 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ადგილობრივი ექსპორტი 445.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და ზრდა ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროდუქციების ხარჯზე:

- ფეროშენადნობები - ექსპორტი 316.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 76%.
- ღვინო - ექსპორტი 143.7 მლნ. აშშ 165.7 მლნ. აშშ დილარი, ზრდა 16%.
- მინერალური წყალი - ექსპორტი 104.1 მლნ. აშშ დილარი, ზრდა 28%.
- თხილი - ექსპორტი 68.4 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 40%.
- სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 66.6 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 18%.
- აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 65.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 16.3%.
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - ექსპორტი 48.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 70%.
- ახალი ხილი - ექსპორტი 46.9 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 44%.
- უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 45.8 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 89%.

ჯამურად ამ ადგილობრივი პოზიციების ექსპორტი 263 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


წმინდა ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავია სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტს 571.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3.2%) და ოქრო 47.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 31%)

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2016-2021 (მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021/9
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 459	10 802	12 741	13 315	11 347.7	10 009.7
ზრდა %	-1%	14%	18%	5%	-14.80%	22.3%
ექსპორტი	2,117	2,746	3,380	3,798	3 342.1	2 981.3
ზრდა %	-4%	30%	23%	12%	-12%	24%
იმპორტი	7,342	8,057	9,362	9,517	8,005.6	7 028.4
ზრდა %	1%	10%	16%	2%	0.2	21.6%
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5,225	-5,311	-5,982	-5,719	-4,663.4	-4 047.1
ზრდა %	2%	2%	13%	-4%	-0.2%	20%
ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე	1,620	2,008	2,226	2,324.50	2,406.9	1 899.1
ზრდა %	1%	24%	11%	4%	4%	25.9%

2021 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 480.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 145.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 078.2 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი-სექტემბერი

2021 წლის იანვარ-სექტემბერში ევროკავშირთან ბრუნვა 14%-ით გაიზარდა, 2 066.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა.

- **ექსპორტი** შემცირდა 10%-ით, 444.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 15% შეადგინა.
- **იმპორტი** ევროკავშირიდან 23%-ით გაიზარდა და 1 621.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 23% დაიკავა.

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 14%-ით (63 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა, 383.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 86% დაიკავა. ადგილობრივი ექსპორტის კლება განაპირობა სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტის კლებამ (კლება 40% და 114.2 მლნ. აშშ დოლარი).

ევროკავშირში რე-ექსპორტი 14% შეადგენს და ძირითადი პოზიციებია: მსუბუქი ავტომობილები, სპირტიანი სასმელები, ელექტრული წყალგამახურებლები, კოსმეტიკური საშუალებები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რეზინის საბურავები.

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 23%-ით (22.4 მლნ. აშშ დოლარით) და 118.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 19%-ით (74.1 მლნ. აშშ დოლარით) და 326.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თხილი** - ექსპორტი 47.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20% და 8.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 32% (ზრდა 33%), იტალია 29% (ზრდა 12%), ესპანეთი 9% (ზრდა 26%), ჩეხეთი 7% (კლება 12%)
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 15.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 62% (კლება 6%), ნიდერლანდები 13% (ზრდა 19%), ლატვია 7% (კლება 1%).
- **ღვინო** - ექსპორტი 19.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26% და 4.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 45% (ზრდა 29%), ლატვია 16% (ზრდა 9%), გერმანია 12% (ზრდა 41%), ლიეტუვა 9% (ზრდა 44%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 15.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35% და 4.1 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტის 93% განხორციელდა ლიეტუვაში (ზრდა 27%) და გერმანიაში 4% (წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 3.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 59% (ზრდა 10%), საფრანგეთი 10% (ზრდა 2-ჯერ).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 1.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 79% და 0.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 58% (ზრდა 141%), საფრანგეთი 15% (ზრდა 26%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 17.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59% და 6.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 87% (ზრდა 160%), გერმანია 4% (კლება 21%).
- **ძვირფასი ლითონის ჯართი** - ექსპორტი 17.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 192% და 11.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 82% (ზრდა 3-ჯერ), იტალია 17% (ზრდა 195%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 17.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 179% და 10.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 37% (ზრდა 5-ჯერ), ნიდერლანდები 17% (ზრდა 5-ჯერ), ესპანეთი 26% (ზრდა 148%).
- **ცხოველების სახლები** - ექსპორტი 11.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 1.8 მლნ. აშშ დოლარი), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 43% (ზრდა 32%), გერმანია 20% (ზრდა 1%), ბელგია 19% (ზრდა 98%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 21.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 2.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 65% (ზრდა 17%), ლიეტუვა 14% (კლება 48%), იტალია 8% (კლება 55%), ესპანეთი 7% (ზრდა 12%).
- **ელექტრო წყალგამახურებლები** - ექსპორტი 6.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 164% და 3.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი რეექსპორტი განხორციელდა საფრანგეთში (90%)

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 36% და 0.4 მლნ. აშშ დოლარი).
- **ძვირფასი ლითონის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა. წინა წელს განხორციელდა 1.9 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი ბულგარეთში.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 172.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40% და 114.2 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 79% (კლება 38%), ესპანეთი 21% (კლება 20%), რუმინეთში ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა (2020/8 – 8.2 მლნ. აშშ დოლარი).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 14%-ით გაიზარდა (25.0 მლნ აშშ დოლარით) და 207.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 24%-ით (273 მლნ აშშ დოლარით) და 1 414 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე:

- **შაქარი** - იმპორტი 9.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 32% და 2.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 68% (ზრდა 44%), გერმანია 14% (წინა წლის ამავე პერიოდში ამ ქვეყნებში იმპორტი თითქმის არ განხორციელებულა) და ნიდერლანდები 8% (ზრდა 2-ჯერ), საფრანგეთი 7% (ზრდა 7%).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 17 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 2.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 32%), პოლონეთი 13% (ზრდა 150%), ბულგარეთი 9% (ზრდა 26%), იტალია 11% (კლება 4%).
- **ძეხვი და ხორცპროდუქტები** - იმპორტი 2.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 52% (ზრდა 3%), ესპანეთი 20% (ზრდა 95%), გერმანია 15% (ზრდა 54%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 215.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23% და 83.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 41% (ზრდა 20%), ბულგარეთი 39% (ზრდა 171%), საბერძნეთი 7% (ზრდა 3%), გერმანია 3% (ზრდა 85%), იტალია 5% (წინა წლის ამ პერიოდში იმპორტი თითქმის არ განხორციელებულა),
- **ცხოველის საკვები** - იმპორტი 13.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23% და 2.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ესპანეთი 20% (კლება 3%), პოლონეთი 12% (ზრდა 9%), საფრანგეთი 11% (ზრდა 58%), გერმანია 11% (ზრდა 69%), იტალია 10% (ზრდა 10%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 30%), ესპანეთი 20% (კლება 2%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 88.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 49% და 29.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 66% (ზრდა 62%), ჩეხეთი 6% (ზრდა 5-ჯერ), პოლონეთი 6% (ზრდა 105%), ბელგია 4% (ზრდა 7%), შვედეთი 3% (ზრდა 128%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 51.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 95% და 24.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 42% (ზრდა 71%), იტალია 21% (ზრდა 8-ჯერ), ნიდერლანდები 10% (ზრდა 23%), პოლონეთი 9% (ზრდა 124%), საფრანგეთი 7% (ზრდა 3-ჯერ), ბელგია 6% (ზრდა 66%).
- **რეაგენტები ლაბორატორიული** - იმპორტი 19.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 55% და 6.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 46% (ზრდა 161%), ნიდერლანდები 30% (ზრდა 48%), საფრანგეთი 11% (ზრდა 67%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 147.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9% და 11.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 21% (ზრდა 8%), უნგრეთი 15% (ზრდა 13%), საფრანგეთი 15% (ზრდა 47%), სლოვენია 7% (ზრდა 10%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 12.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2% და 0.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ნიდერლანდები 31% (ზრდა 50%), გერმანია 22% (კლება 39%), საფრანგეთი 18% (კლება 2%),
- **კარაქი** - იმპორტი 7.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 39% და 4.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 39% (კლება 44%), ირლანდია 2% (კლება 88%), ბელგია 8% (კლება 77%), ფინეთი 29% (ზრდა 5%).

საქართველო - დსთ საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი-სექტემბერი

2021 წლის იანვარ-სექტემბერში დსთ ბრუნვა 22%-ით გაიზარდა, 3 409.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 34% დაიკავა.

- **ექსპორტი** გაიზარდა 33%-ით, 1 424 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 48% შეადგინა.
- **იმპორტი** 15%-ით გაიზარდა და 1 985.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა.

დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტმა 768 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 41% მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. რე-ექსპორტი გაიზარდა 24% და 656 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ადგილობრივი ექსპორტი ღვინის, მინერალური წყლის, უალკოჰოლო სასმელების თხილის, ფეროშენადნობების ხარჯზე განხორციელდა. ხოლო რე-ექსპორტის ზრდა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ხარჯზე განხორციელდა.

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 31%-ით გაიზარდა და 549.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 34%-ით გაიზარდა და 875.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 84.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 28%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 55% (ზრდა 57%), უკრაინა 24% (ზრდა 40%), ბელარუსი 6% (ზრდა 7%), ყაზახეთი 8% (კლება 30%).
- **ღვინო** - ექსპორტი 126.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 76% (ზრდა 18%), უკრაინა 13% (ზრდა 8%), ყაზახეთი 5% (ზრდა 32%), ბელარუსი 4% (ზრდა 2%).

- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 39.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 76%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 53% (ზრდა 83%), აზერბაიჯანი 17% (ზრდა 33%), უკრაინა 8% (ზრდა 183%), სომხეთი 9% (ზრდა 44%).
- **თხილი** - ექსპორტი 15.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 140%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 28% (ზრდა 4-ჯერ), სომხეთი 25% (ზრდა 3-ჯერ), ბელარუსი 21% (ზრდა 118%),
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 73.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 22%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 33% (ზრდა 12%), უკრაინა 41% (ზრდა 23%), სომხეთი 10% (ზრდა 5-ჯერ).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 18.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 57% (ზრდა 9%), რუსეთი 39% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელდა მხოლოდ ზრდა 120 ათასი აშშ დოლარის ექსპორტი).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 13.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში.
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 4.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 76%). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში.
- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 86%). საექსპორტო ბაზრები აზერბაიჯანი 97% (ზრდა 87%), სომხეთი 3% (ზრდა 150%).
- **ხილი** - ექსპორტი 31.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 33%). საექსპორტო ბაზრებია რუსეთი 84% (ზრდა 35%), სომხეთი 13% (ზრდა 7%).
- **ციანიდები** - ექსპორტი 11.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%), საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 92% (ზრდა 235%), სომხეთი 8% (კლება 82%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 129.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 93.5% (ზრდა 48%), აზერბაიჯანი 4% (ზრდა 37%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 308.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 61% (ზრდა 5%), უკრაინა 23% (ზრდა 30%), რუსეთი 4% (ზრდა 37%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 14.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14%). ძირითად საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანი 80% (ზრდა 86%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის** - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები აზერბაიჯანი 86% (კლება 35%), თურქმენეთი 10% (კლება 11%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 21.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 14% (კლება 50%), უკრაინა 65% (ზრდა 29%), სომხეთი 25% (ზრდა 25%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 1%-ით გაიზარდა და 444.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 20%-ით გაიზარდა და 1 541 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **საკონდიტრო ნაწარმი** - იმპორტი 23.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 65% (ზრდა 13%), უკრაინა 29% (ზრდა 28%).
- **მცენარეული ზეთი** - იმპორტი 36.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 87% (ზრდა 30%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 68%).
- **სიგარეტები** - იმპორტი 56.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 85% (ზრდა 32%), სომხეთი 12% (ზრდა 16-ჯერ).
- **სპილენძის მადნები** - იმპორტი 279.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). იმპორტის სრული მოცულობა სომხეთიდან განხორციელდა (ზრდა 34%). აზერბაიჯანი იმპორტი 100%-ით და 7.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.
- **ნავთობი** - 335.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59%) იმპორტიორი ქვეყნები: თურქმენეთი 42% (ზრდა 115%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 97%), რუსეთი 31% (კლება 7%).


იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბალი** - იმპორტი 63.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 21%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 98% (კლება 19%), ყაზახეთი 2% (წინა წელს ამ ქვეყნიდან იმპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).
- **სიმინდი** - იმპორტი 11.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 34%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 98% (კლება 39%), უკრაინა 2% (კლება 65%).
- **არმატურა** - იმპორტი 37.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3%). იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 28% (კლება 61%), აზერბაიჯანი 64% (ზრდა 181%), რუსეთი 28% (კლება 30%).

საქართველოს ექსპორტი


2021 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (478.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (426.2 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (400.2 მლნ. აშშ დოლარი).

ძირითადი პარტნიორები ექსპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2021 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 571.7 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 338.2 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 316.5 მლნ. აშშ დოლარით (10.6 პროცენტი).

10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილი ექსპორტში



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 27%-ით გაიზარდა და 793.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 23%-ით და 2 187.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თხილი** - ექსპორტი 70.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 42%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 22% (ზრდა 73%), იტალია 12% (კლება 11%), რუსეთი 9% (ზრდა 7.5-ჯერ), ლიეტუვა 8% (ზრდა 111%), ბელარუსი 6% (ზრდა 120%), სომხეთი 6% და საუდის არაბეთი 6% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი ამ ქვეყნებში უმნიშვნელო რაოდენობით განხორციელდა).
- **ახალი ხილი** - ექსპორტი 46.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 80% (ზრდა 55%), სომხეთი 12% (ზრდა 5%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 105.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 29% (ზრდა 23%), რუსეთი 23% (ზრდა 12%), საფრანგეთი 10% (კლება 6%), სომხეთი 8% (ზრდა 7-ჯერ). სინგაპური 8% (ზრდა 42%),
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 104.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 44% (ზრდა 54%), უკრაინა 19% (ზრდა 40%), ლიეტუვა 14% (ზრდა 27%), ყაზახეთი 6% (კლება 30%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 20.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 40%). საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 55% (ზრდა 183%), ერაყი 45 % (ზრდა 90%).
- **უალკოჰოლო გაზიანი სასმელები** - ექსპორტი 46.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 87%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 45% (ზრდა 105%), აზერბაიჯანი 33% (ზრდა 9%), სომხეთი 8% (ზრდა 44%), ისრაელი 4% (ზრდა 6-ჯერ), უკრაინა 7% (ზრდა 183%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 21.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 25%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 47% (კლება 12%), რუსეთი 38% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 7.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 58%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 26% (ზრდა 6-ჯერ), აშშ 17% (ზრდა 3%), გერმანია 13% (ზრდა 141%),
- **ღვინო** - ექსპორტი 166.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 16%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (ზრდა 15%), უკრაინა 10% (ზრდა 9%), ჩინეთი 6% (ზრდა 11%), პოლონეთი 5% (ზრდა 29%), ყაზახეთი 4% (ზრდა 32%).
- **ფეროშენადნობები** - ექსპორტი 316.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 76%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 39% (ზრდა 50%), აშშ 29% (ზრდა 155%), თურქეთი 11% (ზრდა 29%), კანადა 3% (ექსპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).
- **ტრიკოტაჟის ნაწარმი** - ექსპორტი 49.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 70%) ექსპორტის 99% განხორციელდა თურქეთში.

- **ხის ნაწარმი (ცხოველების სახლები)** - ექსპორტი 12.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 15%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 40% (ზრდა 32%), გერმანია 19% (ზრდა 1%), ბელგია 17% (ზრდა 98%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 44%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 65.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 16%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უკრაინა 22% (ზრდა 29%), რუმინეთი 18% (ზრდა 17%), ტუნისი 12% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ბრაზილია 9% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), მაროკო 5% (ზრდა 64%)
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 338.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 56% (ზრდა 5%), უკრაინა 21% (ზრდა 30%), რუსეთი 5% (ზრდა 160%).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 72.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1%) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 48% (ზრდა 8%), აზერბაიჯანი 17% (ზრდა 16%), რუსეთი 8% (კლება 27%), სომხეთი 7% (კლება 28%)


ექსპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თევზის ცხიმი** - ექსპორტი 9.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 43%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 59% (კლება 37%), პერუ 40% (კლება 38%).
- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 16.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 18%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 42% (კლება 27%), სომხეთი 34% (ზრდა 87%), ტაივანი 10% (კლება 28%).
- **ოქრო** - ექსპორტი 47.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 31%) საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 94% (კლება 30%), გერმანია 3% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), ემირატები 2% (კლება 28%).
- **სპილენძის მადნები** - ექსპორტი 517.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 3%) საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 69% (ზრდა 40%), ბულგარეთი 24% (კლება 38%), ესპანეთი 6% (კლება 39%).

საქართველოს იმპორტი


2021 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.2 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 247.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (718.8 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (599.9 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 632.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 576.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 530.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.5 პროცენტი).

10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის წილი იმპორტში



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 7%-ით და 921.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო** პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 24%-ით და 5 107 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

მცენარეული ზეთი - იმპორტი 37.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 43%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 86% (ზრდა 41%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 88%).

სიგარეტები - იმპორტი 63.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 23%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 77% (ზრდა 23%), სომხეთი 9% (ზრდა 88%), საამიროები 4% (ზრდა 6-ჯერ).

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 33.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 22%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 46% (ზრდა 16%), უკრაინა 19% (ზრდა 23%), თურქეთი 10% (ზრდა 40%).

მსუბუქი ავტომობილები - 632.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ 61% (კლება 1%), იაპონია 18% (კლება 6%), გერმანია 9% (ზრდა 62%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 576.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 57%) ძირითადი იმპორტიორი ბაზრები: თურქმენეთი 24% (ზრდა 164%), რუსეთი 17% (კლება 3%), აზერბაიჯანი 16% (ზრდა 76%).

სამკურნალო საშუალებები - 257.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 14% (ზრდა 11%), თურქეთი 14% (კლება 5%), საფრანგეთი 9% (ზრდა 44%), უნგრეთი 9% (კლება 2%).

სისხლი და იმუნური შრატები (ვაქცინა) 3002– 84.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 202%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი 39% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), შვეიცარია 20% (ზრდა 2-ჯერ), აშშ 10% (წინა წელს იმპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

სატელეფონო აპარატები - 157.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ემირატები 28% (კლება 18%), რუსეთი 21% (ზრდა 75%), ჰონგ-კონგი 26% (ზრდა 243%), ჩინეთი 4% (ზრდა 9%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 530.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 24%) იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 57% (ზრდა 27%), ინდონეზია 18% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ჩილე 15% (ზრდა 161%), ბრაზილია 7% (კლება 34%).

საბურღი მანქანები - 44.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 232%) იმპორტის 96% განხორციელდა ჩინეთიდან.

იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

ხორბალი - იმპორტი 67.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 16%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 91% (კლება 22%), აშშ 8% და ყაზახეთი 1% (წინა წელს ამ ქვეყნებიდან იმპორტი არ განხორციელებულა).

ფრინველის ხორცი - იმპორტი 42.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 9%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: თურქეთი 30% (ზრდა 26%), ბრაზილია 18% (კლება 32%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 50%), უკრაინა 7% (კლება 13%), გერმანია 7% (კლება 45%), ჩინეთი 8% (კლება 27%).

თევზი გაყინული - იმპორტი 13.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 25%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ 12% (კლება 34%), ისლანდია 11% (კლება 58%), დანია 11% (ზრდა 315%), ნორვეგია 9% (კლება 50%).

ნაღების კარაქი, რძის პასტები - იმპორტი 18.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 5%) ურუგვაი 15% (ზრდა 59%).

ნავთობის აირები - 207.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 4%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 66% (კლება 25%), რუსეთი 34% (ზრდა 164%).

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით 2021 წლის იანვარ-სექტემბერში
(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
საგარეო ვაჭრობა – სულ	2,981,293	7,028,396	10,009,689
ევროკავშირის ქვეყნები	444,976	1,621,519	2,066,495
ავსტრია	1,278	37,102	38,380
ბელგია	19,023	66,947	85,970
ბულგარეთი	147,447	138,626	286,073
გერმანია	42,370	347,506	389,876
დანია	1,238	14,611	15,848
ესპანეთი	45,589	75,347	120,936
ესტონეთი	2,508	5,275	7,783
ირლანდია	1,590	8,935	10,525
იტალია	34,124	185,009	219,133
კვიპროსი	208	2,009	2,216
ლატვია	7,994	20,757	28,752
ლიეტუვა	39,255	27,420	66,675
ლუქსემბურგი	9	1,593	1,602
მალტა	126	7,033	7,159
ნიდერლანდი	20,153	106,136	126,289
პოლონეთი	23,068	114,836	137,903
პორტუგალია	578	8,146	8,723
რუმინეთი	15,055	110,490	125,546
საბერძნეთი	6,184	32,309	38,492
საფრანგეთი	26,585	145,604	172,189
სლოვაკეთი	383	9,141	9,524
სლოვენია	147	20,200	20,348
უნგრეთი	949	35,292	36,241
ფინეთი	764	14,185	14,949
შვედეთი	710	12,724	13,434
ჩეხეთი	7,246	69,620	76,866
ხორვატია	397	4,668	5,065
დსთ-ის ქვეყნები	1,423,961	1,985,635	3,409,596
აზერბაიჯანი	400,156	389,662	789,817
ბელარუსი	38,970	38,766	77,735
თურქმენეთი	8,377	150,444	158,821
მოლდოვა	14,323	10,308	24,631
რუსეთი	426,218	718,801	1,145,019
სომხეთი	171,251	326,977	498,228

ტაჯიკეთი	9,093	23	9,115
უზბეკეთი	59,782	20,252	80,033
უკრაინა	216,009	315,135	531,144
ყაზახეთი	61,008	13,924	74,932
ყირგიზეთი	18,774	1,346	20,120
დანარჩენი ქვეყნები	1,112,356	3,421,242	4,533,598
ავსტრალია	1,125	1,109	2,234
ავღანეთი	441	14	455
ალბანეთი	57	4,857	4,915
ალჟირი	-	59	-
ანგოლა	-	-	-
არაბთა გაერთიანებული სამხრეთი	14,264	88,306	102,569
არგენტინა	1,653	5,210	6,863
აშშ	120,306	441,964	562,269
ახალი ზელანდია	35	1,735	1,770
ბანგლადეში	310	1,832	2,142
ბაჰრეინი	33	8	42
ბელიჯი	-	45	-
ბენინი	1	-	-
ბოლივია	70	-	-
ბოსნია და ჰერცეგოვინა	-	221	-
ბრაზილია	7,037	79,799	86,836
ბურკინა-ფასო	1,540	-	-
ბუტანი	31	-	-
გაბონი	-	4,886	-
გაერთიანებული სამეფო	20,030	61,043	81,073
განა	165	70	235
გვინეა	67	5,942	6,009
ეთიოპია	19	0	20
ეკვადორი	560	13,158	13,718
ერაყი	9,480	2,384	11,864
ვენესუელა	150	-	-
ვიეტნამი	693	7,035	7,727
ვირჯინის კუნძულები ბრიტანეთი	-	1,404	-
ზიმბაბვე	353	-	-
თურქეთი	233,295	1,247,506	1,480,801
იაპონია	15,219	135,969	151,188
იემენი	3	-	-
ინდოეთი	2,241	48,043	50,284

ინდონეზია	5	114,418	114,424
იორდანია	622	266	888
ირანი	18,350	97,495	115,846
ისლანდია	1	1,787	1,788
ისრაელი	15,854	8,055	23,909
კამერუნი	-	255	-
კანადა	11,979	14,488	26,466
კენია	842	346	1,188
კოლუმბია	4,129	80	4,209
კორეა რესპუბლიკა	6,832	50,214	57,046
კოსტა-რიკა	17	91	108
კუბა	21	132	153
ლაოსი	-	15	-
ლიბანი	64	1,684	1,747
ლიბია	1,405	-	-
ლიხტენშტაინი	-	255	-
მავრიტანია	16	-	-
მაკაუ	11	-	-
მაკედონია იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა	90	921	1,011
მალავი	-	589	-
მალაიზია	520	11,899	12,419
მალი	597	-	-
მაროკო	3,236	74	3,310
მარშალის კუნძულები	455	-	-
მექსიკა	718	5,025	5,743
მოზამბიკი	19	-	-
მონაკო	3	6	10
მონტენეგრო	-	502	-
მონღოლეთი	1,821	-	-
ნეპალი	-	9	-
ნიგერი	4	1	4
ნიგერია	219	38	257
ნიკარაგუა	8	-	-
ნორვეგია	252	5,184	5,436
ომანი	165	765	930
პაკისტანი	54	2,002	2,055
პანამა	36	5	41
პარაგვაი	216	5,477	5,693
პერუ	11,430	434	11,864
ჰუერტო-რიკო	50	-	-
სამხრეთი აფრიკა	266	8,213	8,479

სან-მარინო	-	259	-
საუდების არაბეთი	24,116	271	24,388
საფრანგეთის პოლინეზია	-	24	-
საფრანგეთის სამხრეთი ტერიტორიები	-	392	-
სეიშელები	-	286	-
სენეგალი	45	-	-
სერბეთი	31	24,311	24,342
სინგაპური	12,873	10,752	23,625
სირია	527	166	694
სომალი	61	-	-
სუდანი	317	12	329
ტაივანი ჩინეთის პროვინცია	2,688	8,437	11,124
ტაილანდი	377	10,229	10,606
ტანზანია	3,746	1	3,746
ტუნისი	6,938	253	7,191
უგანდა	-	127	-
ურუგვაი	1,184	2,718	3,902
ფარერის კუნძულები	-	122	-
ფილიპინები	1,798	242	2,040
ქუვეითი	1,876	19	1,895
ყატარი	1,103	1,018	2,121
შვეიცარია	58,273	57,780	116,053
შრი-ლანკა	1	1,686	1,686
ჩადი	7	140	147
ჩილე	5,556	90,802	96,358
ჩინეთი	478,267	599,946	1,078,212
ჰონდურასი	29	-	-
ჰონ-კონგი	3,061	127,932	130,993